პროექტის დაფინანსებისათვის
ულრმეს მადლობას მოვახსენებთ
ფრიდრიხ ებერტის ფონდს

„Einbindung der Schwerbeschädigten in der Unternehmentätigkeit",
Seminarmaterialien vom 12. - 13. August 1998
(„Mzire bisnesi da invalidta da institutionalisebul bawschwta propesiuli szawlebisa da dasakmebis problemebi sakartweloschi")

© სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირ(
(ინვალიდთა ასოციაცია)

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი
(ინვალიდთა ასოციაცია)

მცირე ბიზნესი
და
ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა
პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები
საქართველოში

მასალების
კრებული

ზაზა სიხარულიძისა და ნონა კენჭუაშვილის
საერთო რედაქციით

Friedrich-Ebert-Stiftung * Bonn * Bibliothek
A 99 - 04363

თ ბ ი ლ ი ს ი
1998

ღვთისშვილთა კავშირის ბიბლიოთეკა

ს ე რ ი ა:

პროფესიული სწავლება და დასაქმება

წიგნი პირველი

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ეხება საქართველოში ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემებს. აქვე აგრეთვე ასახულია *ფრიდრიხ ებერტის ფონდის* მიერ დაფინანსებული ღვთისშვილთა კავშირის პროექტის - «მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში» -. განხორციელების შედეგები.

შემდგენელი *ნონა კენჭუაშვილი*

სპონსორი: **FRIEDRICH EBERT STIFTUNG**

ღვთისშვილთა კავშირის გამოცემა

შინაარსი

წინათქმის მაგიერ - ზაზა სიხარულიძე *7*

მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუცონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში - ნონა კენჭუაშვილი *10*

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის №841 ბრძანებულება «საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მყოფი ბავშვებისათვის სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» *21*

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 9 ივლისის № 409 ბრძანებულება «საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ» *25*

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს № 445 ბრძანებულება «საქართველოში მცხოვრებ უდედმამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ». 30

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 ოქტომბრის № 702 განკარგულება «გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წლის ხანდაზმულთა საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ» *31*

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ოქტომბრის №665 ბრძანებულება «ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის» დამტკიცების შესახებ 33

«ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა» (ფრაგმენტები).....34

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 1 ოქტომბრის №543 ბრძანებულება «საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ».....37

«საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა» (შემოკლებით).....38

საქართველოში მოქმედი ბავშვთა ინსტიტუტები - *«საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მყოფი ბავშვებისათვის სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის № 841 ბრძანებულების დანართის მიხედვით (მისამართისა და აღსაზრდელთა მისაღები ასაკის მითითებით).....55*

სტატისტიკური მონაცემები რამდენიმე ძირითადი პარამეტრის მიხედვით...60

ᲕᲘᲜᲐᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

როგორც ცნობილია, სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად დაცულ ფენათა, კერძოდ, ობოლ თუ ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა, ინვალიდთა, ვეტერანთა, ხანდაზმულთა, უმუშევართა, დევნილთა, ლტოლვილთა, სნეულთა და მისთ., მიმართ დამოკიდებულების ხასიათში რეალიზდება თითოეული ადამიანის, საზოგადოების, ხალხის, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის არსი. ვინაიდან ამ უკანასკნელთა განვითარების ხარისხის რაობის განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს სწორედ მოსახლეობის აღნიშნულ ფენათა კეთილდღეობის დონე.

მაგრამ სოციალური თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპთა პრაქტიკული განხორციელება წარმოუდგენელი და შეუძლებელია შეჭირვებული თანამოძმისადმი რელიგიური სიყვარულის, თანაგრძნობისა და სათნოების სიტყვითა თუ საქმით გამოვლენის გარეშე.

ნათლად რომ გავითავისოთ ფიზიკურად, გონებრივად და სულიერად შეჭირვებული თანამოძმეებისადმი ცნობიერი კაცობრიობის დამოკიდებულების ღვთაებრივი, რელიგიურ-თეოსოფიური და ფილოსოფიურ-შემოქმედებითი გააზრება, უნდა გავიხსენოთ რამდენიმე ამონარიდი მათეს სახარებიდან, რაც წარმოადგენს ამგვარი დამოკიდებულების არსის კონცენტრირებულ გამოხატულებას.

მაცხოვარი ბრძანებს:

«თქვენ ხართ მარილი მიწისა... თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი...» (5, 13-14);

«მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ...». (9,12);

«როგორც ვინდათ, რომ მოგექცენ ადამიანები,თქვენც ისევე მოექეცით მათ...» (7, 12).

ამასთან, ძე ღვთისა საქმით ანივთებდა თავის სიტყვას: «დადიოდა იესო ყველა ქალაქსა და სოფელში, ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სასუფევლის სახარებას, კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას» (9, 35).

განსაკუთრებულია მაცხოვრის დამოკიდებულება მომავალი თაობისადმი:

«თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში. ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს...» (18, 3-5).

«...მოიყვანეს მასთან ბავშვები, რომ ხელი დაედო და ელოცა მათთვის, მოწაფეები კი საყვედურობდნენ მათ. ხოლო იესომ უთხრა მათ: «გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა

სასუფეველი» (19, 13-14).

ცნობილია, რომ რევოლუციური თუ სხვა სახის კატასტროფული ქარტეხილების პერიოდებს ყველაზე მტკივნეულად სულიერად, გონებრივად და ფიზიკურად შეჭირვებული ადამიანები განიცდიან, მაგრამ, ამასთან, განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევს ბევრი მათგანის ღვთის რწმენით ნასაზრდოები სულიერი მხნეობა და შეუპოვრობა, ცხოვრების ხალისი და ოპტიმისტური განწყობა, რაც არაიშვიათად ჯანმრთელთათვისაც კი სანიმუშოა და მისაბაძე.

სწორედ ამიტომ, მსურს, კიდევ ერთხელ გამოვხატო უღრმესი მადლობა და თაყვანისცემა ყველა იმ მოყვასისადმი, რომელთაც, მიუხედავად თავიანთი უკიდურესი შეჭირვებისა, ნდობისა და იმედის თვალით შემოგვხედეს, რითაც კიდევ უფრო განგვიმტკიცეს ჩვენი ძალისხმევის აუცილებლობის რწმენა და სათანადო ენერგია შეგვმატეს.

როგორც ცნობილია, მოფლიო და სამამულო პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ ფენათა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ამ კატეგორიის პირთა დასაქმებისა და პროფესიული მომზადების პრობლემის გადაწყვეტა.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში უფრო ხერხდება სულიერად, გონებრივად თუ ფიზიკურად შეჭირვებული ადამიანის ცნობიერებაში «არასრულფასოვნების» კომპლექსისა და «სხვაზე დამოკიდებულის» ფსიქოლოგიის დაძლევა, რის შედეგადაც ამგვარი პიროვნება თავს გრძნობს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

სწორედ ამიტომ ღვთისშვილთა კავშირის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ამ კატეგორიის პირთა დასაქმებისა და პროფესიული მომზადების პრობლემის მოგვარების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა. ამ კურსის შესაბამისად, ჩვენდა სასიხარულოდ, უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებით უკვე გადავდგით პირველი წარმატებული ნაბიჯები, რის თაობაზეც წინამდებარე კრებულში მოგითხრობთ.

აღსანიშნავია და მისასალმებელია ის გარემოება, რომ „საქართველოს ეკონომიკის წინსვლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 აგვისტოს № 482 ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა მიენიჭოს ინვესტიციური ხასიათი, რაც დიდ რეზერვებს შექმნის საზოგადოდ, სოციალურ, კერძოდ კი-პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემათა გადაჭრის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

უღრმესი მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიო ფრიდრიხ ებერტის

ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი, ქ-ნი ია თიკანაძე და ამავე წარმომადგენლობის თანამშრომელი, ქ-ნი ქეთევან გვარამია, რომელთა განსაკუთრებულმა ადამიანურმა სითბომ, არაჩვეულებრივმა გულისხმიერებამ და მუდმივმა ყურადღებამ, რაც მათ გამოავლინეს ჩვენი პროექტის *«მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში»* განხილვა-დამტკიცებისა და რეალიზების მთელს პერიოდში, მეტად შეგვიწყო ხელი ჩვენს მუშაობაში.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სახელმწიფო მმართველობის რეგიონული, რაიონული და საქალაქო რგოლების, სამინისტროებისა და დეპარტამენტების, სხვა დაინტერესებული უწყება-ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანადგომა და დახმარება. რომელთაც, გაცნობიერებული აქვთ რა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურათა კონსტრუქციული და პარტნიორული თანამშრომლობის აუცილებლობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დაგროვილ პრობლემათა ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის თვალსაზრისით, ყველა პირობა შეგვიქმნეს, რათა პროექტი დროულად განხორციელებულიყო.

დასასრულ, უღრმესი მადლიერება უნდა გამოვხატო პროექტის კოორდინატორისა და მუშა-ჯგუფის თითოეული წევრის მიმართ, რომელთაც, კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს რა თავიანთი განსაკუთრებული სიყვარული, სითბო და მზრუნველობა ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ, მართლაც თავდადებითა და შესაშური შემართებით იშრომეს, რამაც, მემოთაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, განაპირობა პროექტის წარმატებით დასრულება.

ზაზა სიხარულიძე,
5 ნოემბერი, 1998 წელი,
ქ. თბილისი.

მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში -

ნონა კენჭუაშვილი,
სსლკ/ია-ის თანაპრეზიდენტი,
პროექტის კოორდინატორი

როგორც მსოფლიო და სამშულო პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ ფენათა (ინვალიდთა, ვეტერანთა და მისთ.) საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებას ამ კატეგორიის პირთა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ისინი, თავადვე გამოიმუშავებენ *რა* თავიანთი საარსებო მინიმუმისათვის საჭირო თანხას ხელფასის სახით, თავს გრძნობენ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად და ეხსნებათ «სხვაზე დამოკიდებულის» კომპლექსი.

სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნისა და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის - სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) - სსლკ/ია-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად იმთავითვე განისაზღვრა ინვალიდთა, ვეტერანთა და სხვა სოციალურად დაუცველ ფენათა დასაქმებისა და პროფესიული მომზადება-გადამზადების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამ მიმართებით უცხოურ დონორ ორგანიზაციათა დახმარებით სსლკ/ია-ის მიერ განხორციელებულია შემდეგი პროექტები:

1. «საინფორმაციო ბანკი - ინსტიტუციონალიზებული ბავშვები საქართველოში» (1996 წ.) - UNICEF-ის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის რეალიზების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ არასამთავრობო, დონორ ორგანიზაციებსა თუ სამთავრობო სტრუქტურებს შესაძლებლობა მიეცათ მიიღონ მუდმივად განახლებადი ანალიტიკური ხასიათის სტატისტიკური ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში ამ კატეგორიის ბავშვთა რაოდენობის, კატეგორიებისა და მდგომარეობის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროში განსახორციელებელ რეფორმებს;
2. «საინფორმაციო ბანკი - ინვალიდთა ეფექტური მომსახურების გარანტი» (1996-97 წწ.) - UNDP-ის მიერ დაფინანსებული ამ პროექტის რეალიზების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ არასამთავრობო, დონორ ორგანიზაციებსა თუ სამთავრობო სტრუქტურებს შესაძლებლობა მიეცათ მიიღონ მუდმივად განახლებადი ანალიტიკური ხასიათის სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ამ კატეგორიის ადამიანთა რაოდენობის, კატეგორიების, მდგომარეობისა და მათი მოთხოვნილება-შესაძლებლობების თაობაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდად საჭიროა მათი დასაქმებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კონკრეტულ პროექტთა შემუშავებისას;
3. «ინვალიდთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება - მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ერთ-ერთი საწინდარი» (1997 წ.) - ISAR-Georgia-ს მიერ დაფინანსებული ამ პროექტის პირველი ნაწილის რეალიზების შედეგად მივიღეთ ორი შესანიშნავი გამოცემა: *«ინვალიდთა სოციალური დაცვა და უზრუნველყოფა საქართველოში (დოკუმენტების კრებული, ნაკეთი პირველი)» და «ინვალიდის სამახსოვრო»;*
4. «ინვალიდთა და უფროსი ასაკის ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული მომზადება და დასაქმება ფეხსაცმლის მცირე საწარმოში» (1997 წ. აგვისტო - 1998 წ. თებერვალი)

ამერიკული ორგანიზაცია «Save the Children»-ის მიერ გამოყოფილი გრანტით დაფინანსებული ამ პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნა მომგებიანი მცირე საწარმო, სადაც დასაქმდა 14 ინვალიდი ხელოსანი და პროფესიული სწავლების კურსს გადის 12 ინსტიტუციონალიზებული ბავშვი.

აღნიშნული კურსის ლოგიკური გაგრძელებაა სსლკ/ია-ის ექსპერტ-სპეციალისტთა მიერ შემუშავებული და ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გერმანული დონორი ორგანიზაციის ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული პროექტი *«მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში».*

ამ პროექტის განხორციელების პირველი ეტაპის სამუშაო გეგმის შესაბამისად, მომზადდა და 1998 წლის 12-13 აგვისტოს, ქ. თბილისში, ღვთისშვილთა კავშირის ოფისში, გაიმართა ორდღიანი სემინარი თემაზე «მცირე ბიზნესი და ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემები საქართველოში».

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სახელმწიფო კანცელარიის, სხვა დაინტერესებული სამთავრობო სტრუქტურების, სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლებმა.

სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა, ქ-ნმა ია თიკანაძემ და ლევთისშვილთა კავშირის პრეზიდენტმა, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბ-ნმა ზაზა სიხარულიძემ.

როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს შემდეგი მოხსენებები (ტექსტები სემინარის დაწყების წინ რეგისტრაციისას დარიგდა) და გამართეს დისკუსიები შემდეგ თემებზე:

1. «ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა მდგომარეობა საქართველოში: წარსული, აწმყო და მომავალი» (*ბ-ნი ზაზა სიხარულიძე*);
2. «ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი ეროვნული თუ საერთაშორისო აქტები და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები» - მომხსენებელი: *სსდკ/ია-ის თანაპრეზიდენტი, ქ-ნი ნონა კენჭუაშვილი*;
3. «არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ეკონომიკური საფუძვლები» - თანამომხსენებლები: საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ფედერაციის პრეზიდენტი, ბ-ნი *კონსტანტინე ამირაჯიბი* და საერთაშორისო ასოციაციის «ქალი და ბიზნესის» პრეზიდენტი, ქ-ნი *ნინო ელიზბარაშვილი*;
4. «დაინტერესებული სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო გაერთიანებების, ადგილობრივი და უცხოური დონორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირების აუცილებლობა ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების სფეროში» - მომხსენებელი: საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის სახაზინო საწარმო «მარკეტინგის სამსახურის» უფროსი, ბ-ნი *გიორგი ბარამიძე*;
5. «ბავშვთა არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი ინვალიდ და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების პრობლემების შესწავლისა და გადაჭრის საქმეში» - მომხსენებელი: ალტერნატიული პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის დროებითი კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, *ქ-ნი მარი მჭედლური*.

სემინარის მონაწილეებმა, ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს რა ქ-ნ მარი მჭედლურის წინადადებას, გადაწყვიტეს სოციალურ უფლებათა დაცვის ეროვნული ბიუროს შექმნა.

სემინარის მუშაობის შედეგები ფართოდ გააშუქეს მასმედიის

საშუალებებმა, კერძოდ, სპეციალური სიუჟეტები გადაიცა საქართველოს I არხის საინფორმაციო პროგრამებში «მოამბე» და «ვესტნიკი», ტელეკომპანიების «კავკასიისა» და «საქართველოს ხმის» საინფორმაციო გამოშვებებში.

რაც შეეხება საგაზეთო მასალებს, გაზეთ «რეზონანსში» (15 აგვისტოს №221 /1269/ და 17 აგვისტოს №223 /1271/) გამოქვეყნდა მანანა ვარდიაშვილის ორი სტატია, ხოლო გაზეთებში «სვობოდნაია გრუზია» (18 აგვისტოს №215 /21436/) და «საქართველოს რესპუბლიკა» (19 აგვისტოს №212 /2912/) დაიბეჭდა ლევთისშვილთა კავშირის პრეს-ცენტრის ინფორმაცია.

ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი

ინსტიტუციონალიზებული ბავშვები

ბავშვთა ინსტიტუტების ტიპები

1. ბავშვთა სახლი, მათ შორის, ჩვილთა;
2. სკოლა-ინტერნატი;
3. დამხმარე სკოლა-ინტერნატი;
4. დამხმარე სკოლა;
5. სანატორიული სკოლა-ინტერნატი;
6. სპეცდაწესებულება;
7. სპეცსკოლა;
8. ფსიქონევროლოგიური პანსიონატი;
9. ბაგა-ბაღი;
10. სანატორიუმი.

ინსტიტუციონალიზების მიზეზები

ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში მოთავსების პრობლემის წამოჭრას ოჯახის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს წინაშე განაპირობებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რაც განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება ერისა და ქვეყნისათვის ისეთ გარდამტეხ, გარდამავალ და სიძნელეებით აღსავსე პერიოდში, როგორიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულში აღმოჩნდა ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ინსტიტუციონალიზების

მიზეზები მრავალნაირია, კერძოდ:

- *ობლობა;*
- *ნახევრადობლობა;*
- *ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა;*
- *ოჯახის მრავალშვილიანობა;*
- *დედის მარტოხელობა;*
- *დარღვეული ოჯახი;*
- *დევნილობა (ლტოლვილობა);*
- *მშობლის (მშობლების) ინვალიდობა;*
- *ძნელადაღსაზრდელი;*
- *ავადმყოფობა;*
- *ინვალიდობა;*
- *მიგდება (მიტოვება);*
- *მშობლის (მშობლების) პატიმრობაში ყოფნა;*
- *არაჯანსაღი ოჯახური მდგომარეობა;*
- *სკოლის უქონლობა;*
- *სასწავლებლის პროფილი.*

1. მეტად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა დიდ უმრავლესობას (73,5%) ჰყავს ორივე მშობელი, 22,8%-ს - ერთ-ერთი მშობელი, ხოლო სრულიად ობოლთა რაოდენობა შეადგენს 3,7%-ს.
2. გარკვეული აზრით დადებითი ფაქტია, რომ მხოლოდ 4,7%-ის დაბრუნებაზეა თქმული კატეგორიული უარი, ბავშვთა დიდ უმრავლესობას გარკვეული პირობების შექმნის შემდეგ ოჯახში წაიყვანენ.
3. ამავე რიგის ფაქტია, რომ ინვალიდობა მხოლოდ 600-მდე შემთხვევაში იქცა ინსტიტუციონალიზების მიზეზად, და ეს მაშინ, როცა ამ კატეგორიის ბავშვთა რიცხვი ქვეყანაში 25 ათასს აღწევს.
4. საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზების უმთავრეს მიზეზს, მიუხედავად მისი მრავალფეროვანი გამოვლინებისა, წარმოადგენს ოჯახის მატერიალური ხელმოკლეობა.
5. განსაკუთრებით დამაფიქრებელია იმ ბავშვთა მდგომარეობა, რომელთაც არ ჰყავთ მშობელი (მშობლები) და არც მისი (მათი) შემცველი პირი (პირები), არ გააჩნიათ საცხოვრებელი სადგომი და ასაკის შესრულების შემდგომ მათი მომავალი სავსებით გაურკვეველია.
6. ინსტიტუტებში ბავშვთა ყოფნის ხანგრძლივობა პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად:
   ⇒ მუდმივად;

   ⇒ ოჯახიდან მოსიარულე;
   ⇒ შაბათ-კვირას მიჰყავთ შინ;
   ⇒ არდადეგებზე ბრუნდებიან ოჯახში;
   ⇒ ოჯახი ცხოვრობს სამზრუნველო დაწესებულებაში.
7. ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და კრიზისის გავლენა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა ბავშვთა ინსტიტუციონალიზაციის სფეროში, კერძოდ, თითქმის ყველა ამ ტიპის დაწესებულებაში:
   – სავალალო მდგომარეობაშია კვების ბლოკი;
   – ჩასატარებელია კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;
   – გასაუმჯობესებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
   – შესავსები და შესაცვლელია ინვენტარი და აღჭურვილობა;
   – დეფიციტია სასკოლო სახელმძღვანელოები და ნივთები;
   – მწვავედ დგას სეზონის შესაფერისად ბავშვთა ჩაცმის პრობლემა;
   – გასაუმჯობესებელია მედიკამენტებითა და სამკურნალწამლო საშუალებებით მომარაგება;
   – ქვეყნის რაიონებში განთავსებული დაწესებულებების უმრავლესობას გააჩნია დამხმარე მეურნეობა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ხერხდება მათი ამოქმედება.

ინვალიდები

როგორც ოფიციალური, ისე დამოუკიდებელი წყაროების მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი მოწმობს, უკანასკნელ წლებში დინამიურად შემცირდა როგორც მოსახლეობის პირველადი დაინვალიდება, ასევე ინვალიდობით პენსიონერთა საერთო რიცხვი (იხ. ქვემოთმოტანილი ცხრილი. წყარო: საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სამმართველოს მიერ შედგენილი სტატისტიკური მასალების კრებული «საქართველოში ინვალიდობისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიების საქმიანობის 1997 წლის ძირითადი მაჩვენებლები», ა. ხიტირისა და ჯ. გოგიძის რედაქციით, თბ., 1998). თუმცა აღნიშნული გარემოება გამოწვეულია არა მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი კლებით, არამედ მთელი რიგი სხვა ფაქტორებით, მათ შორის მოსახლეობის უკიდურესი სიღუხჭირით, რადგან არსებული კანონმდებლობის თანახმად, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის გავლა დაკავშირებულია იმ ოფიციალურ ხარჯებთან, რომლის გაღება უკიდურესად შეჭირვებულ ადამიანებს არ შეუძლიათ.

ინვალიდობით პენსიონერთა სახეობა	1995წ.	1996წ.	1997წ.
1. დასახიჩრებითა და პროფდაავადებით	13442	10427	9964
მათ შორის: პირველი ჯგუფის	1078	880	823
მეორე ჯგუფის	7267	6448	5628
მესამე ჯგუფის	5097	3099	3513
საერთო დაავადებით	147200	131085	128114
მათ შორის: პირველი ჯგუფის	20884	17660	16472
მეორე ჯგუფის	112522	100418	99066
მესამე ჯგუფის	13749	13007	12576
ბავშვობიდან ინვალიდები	25940	24541	25475
მათ შორის: პირველი ჯგუფის	4787	4245	4646
მეორე ჯგუფის	12651	12934	13164
მესამე ჯგუფის	5268	8804	12439
ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, მათ შორის:	15596	14356	14162
პირველი ჯგუფის	2497	2168	2191
მეორე ჯგუფის	11279	10501	9923
მესამე ჯგუფის	1820	1669	2048
სულ ინვალიდობით პენსიონერთა რაოდენობა, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან სოცუზრუნველყოფის ორგანოებში	213756	194145	190154

დასაქმების მსურველნი

როგორც ლოკალური, ისე ფართომასშტაბიანი გამოკვლევების (1996-97-98 წწ.) ანალიზი მოწმობს, ინვალიდთა შორის დასაქმების მსურველთა რიცხვი მოსალოდნელთან შედარებით მეტად მოკრძალებულია. ეს არცაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ კატეგორიის პირთა, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის მენტალიტეტი ყალიბდებოდა საბჭოურ ეპოქაში, რამაც განაპირობა «სახელმწიფოზე დამოკიდებულის «ფსიქოლოგიისა» თუ «სხვის ხელში შემყურეს» კომპლექსის ჩამოყალიბება, რაც, სამწუხაროდ, კიდევ უფრო გამყარდა უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში მომხდარი ცნობილი მოვლენების გამო, რის შედეგადაც 1991 წლიდან უკანასკნელ დრომდე ჩვენი ხალხი და სახელმწიფო უცხოური ჰუმანიტარული დახმარებით სულდგმულობდა. ასე მაგალითად 2594 გამოკითხულიდან დასაქმების სურვილი გამოთქვა 12,0%-მა, სასურველი

სფეროები განაწილდა შემდეგნაირად:

- მხატვრული თვითშემოქმედება – 2,6%;
- ქსოვა და კერვა – 3,5%;
- მრეწველობა და აგროსექტორი – 1,9%;
- ხელსონობა – 12 %;
- ინტელექტუალური მოღვაწეობა – 6,1%;
- შინ შრომა – 48,6%;
- მსუბუქი (ნებისმიერი სახის) სამუშაო –1,3%;
- შეძლებისდაგვარად – 23,4%.

რეკომენდაციები

ისევე როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემაშიც სასიცოცხლოდ აუცილებელია კარდინალურ რეფორმათა განხორციელება.

მაგრამ ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რეფორმის აუცილებლობის აღიარება სულაც არ გულისხმობს დაუფიქრებელ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებათა მიღებასა და ხორცშესხმას.

- ვფიქრობთ, განსახორციელებელ ღონისძიებათა თანმიმდევრობის დადგენა და მათი ზუსტი გადანაწილება დროში უთუოდ ხელს შეუწყობს ინვალიდთათვის სოციალური გარანტიების იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ორიენტირებული იქნება აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა საზოგადოებაში ინტეგრირებასა და მათთვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფისათვის სათანადო პირობების შექმნაზე, რისთვისაც, ვფიქრობთ, აუცილებელია ამ სფეროში მოღვაწე ადგილობრივ ინვალიდთა თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამთავრობო სტრუქტურათა საკონსულტაციო-საკოორდინაციო ორგანოს (საბჭოს, კომიტეტის) ჩამოყალიბება გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ანალიზის, ინფორმაციის გაცვლისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.
- მართალია, «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მიღებით შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის, მაგრამ კანონის რეალურად ამოქმედებისათვის გადაუდებლად საჭიროა მთავრობის მიერ მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, კერძოდ:

– საერთო სარგებლობის ობიექტების მისაწვდომობისა **და სო**ციალური ინფრასტრუქტურით შეუფერხებელი სარგებლობის სტანდარ**ტების** შესახებ;
– ენსტების ენის გამოყენებისა და განვითარებისათვის **აუ**ცილებელი პირობების შექმნის შესახებ;
– ინვალიდთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური **პრო**გრამების განხორციელების საქმეში აღმასრულებელი ხელისუფლების **ცენ**ტრალური და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების მონაწილ**ეობ**ის შესახებ;
– ინვალიდთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსა**ხურ**ების (შინ მომსახურების) წესისა და პირობების შესახებ;
– ინვალიდთა განათლებისა და პროფესიული მომზადება-**გა**დამზადების, შრომითი უფლებების რეალიზაციის შესახებ;
– ინვალიდთა სპეციალიზებული ინსტიტუციური ქსელის **ფუნ**ქციონირებისა და მობინადრეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიმართულ ღონისძიებათა შესახებ;
– სამზრუნველო დაწესებულებებში აღზრდილ ინვალიდ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უფლ**ებ**ისა და მათი სოციალური დაცვის სახელმწიფო გარანტიების შესახებ;
– ბავშვთა სპეციალურ დაწესებულებაში აღზრდის რეკომ**ენდაც**ის გაცემის წესის შესახებ;

- შესატანია ცვლილებები (ინვალიდებთან დაკავშირებული საკითხების ჩართვის მიზნით) კონკრეტული სფეროების მარეგულირ**ებელ** მთელ რიგ კანონებში.
- რადიკალურადაა შესაცვლელი გონებადაქვეითებული ბავშვების სწავლებისადმი დღეს არსებული მიდგომა, რაც ადექვატ**ურად**აა ასახული მათს სასწავლო პროგრამებში;
- საჭიროა გადაისინჯოს მედიკო-პედაგოგიური გაერთიან**ებული** კომისიის მიერ სკოლაში მიღების წინ ბავშვთა ჩვეულებრ**ივ ფ**ორმალური აღზრდისათვის «ვარგისად» ან «შეუფერებლად» ცნობის **დღეს** არსებული წესი, რადგან სწორედ ზემოხსენებული კომისია იღებს **გადაწ**ყვეტილებას (იძლევა რეკომენდაციას) ბავშვთა სპეციალურ დაწესებ**ულებაში** აღზრდის შესახებ. ეს წესი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მოთხოვნებს, **რადგ**ან ამგვარ შემთხვევებში, ერთის მხრივ, პრაქტიკულად იგნორირ**ებულ**ია ოჯახისა და საზოგადოების როლი, ხოლო, მეორეს მხრივ არ **არის შე**მუშავებული ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგ**არეშე** აღზრდისა და რეაბილიტაციისათვის ხელშემწყობი დამხმარე **პ**როგრამები. შესაბამისად, არ არსებობს, ან თუ არსებობს, არ **არის გ**ამოკვეთილი სახელმწიფოს მხრივ ამ პროცესის მართვის ორგანიზაც**იული** სისტემა.

- ინვალიდთა და სამზრუნველო დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვთა მოვლა-პატრონობის სფეროში მოღვაწე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება უნდა გახდეს დეინსტიტუციონალიზაციის მიღწევა და ამ კატეგორიის პირთა ოჯახურ გარემოში დაბრუნება ანდა, უარეს შემთხვევაში, მათთვის ცხოვრების, აღზრდისა და საქმიანობის იმგვარი პირობების შექმნა, რაც ნორმალურ ოჯახებში მცხოვრებ თავიანთი თანატოლების ყოფის, განათლებისა და შრომის პირობებს მაქსიმალურად მიუახლოვდება.
- საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების დამკვიდრების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვალიდთა და ინსტიტუციონალიზებულ ბავშვთა პროფესიულ მომზადებას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, პრაქტიკული ღონისძიებების გატარებამდე უნდა შემუშავდეს პროფესიათა ჩამონათვალი, განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, ხოლო მომზადების პროცესი მოთხოვნილების გათვალისწინებით დაეყრდნოს დიფერენცირებულ მიდგომას, კერძოდ: არსებული რეალობის გათვალისწინებით უნდა შედგეს სასწავლო პროგრამები მარტივი ოპერაციული დანიშნულებისა და პროფილური სპეციალისტებისათვის;
- სასწავლო-საწარმოო პროცესის უზრუნველსაყოფად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს:

– პროფესიულ-ტექნიკური განათლების დღეს არსებული სისტემა;
– იმ საწარმოთა სამუშაო უბნები, რომლებიც მთელი სიმძლავრით არ არის დატვირთულნი;
– სავაჭრო და მომსახურების სხვა ობიექტები;
– შეიქმნას სახელოსნოები, სადაც თეორიული კურსის გავლასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების პარალელურად მოსამზადებელ მცირერიცხოვან ჯგუფებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა მომგებიანი დაკვეთების შესრულებაში. ამგვარი მიდგომა მინიმუმამდე შეამცირებს შრომითი სწავლების პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო სახსრების ხარჯვას.

- იმისათვის, რომ დასაქმების პროცესი უფრო ხანგრძლივი და საიმედო იყოს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მცირე საწარმოების შექმნას, და კვლავ ამოქმედდეს (პროფილის გათვალისწინებით) ამგვარ საწარმოებში ინვალიდთა შრომითი რეაბილიტაციისათვის ადგილების დაჯავშნის მექანიზმი. თავის მხრივ, დასაქმების დეპარტამენტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს მეწარმეთა გაერთიანებებთან და მიზანმიმართულად მუშაობდეს საინვესტიციო კომპანიებთან საქმიანი კავშირების დამყარებისათვის;

- როგორც ქალაქად, ისე სოფლად მცხოვრებ ამ კატეგორიის ადამიანთა შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა: ინვალიდთა შრომითი რეაბილიტაციისათვის გამიზნულ ღონისძიებათა შემუშავებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმგვარი პროგრამების განხორციელებას, რომელთაც არ ესაჭიროებათ დიდი კაპიტალდაბანდებანი და იძლევა სწრაფ უკუგებას. კერძოდ:

ა) აგრარულ სექტორში – ოჯახური ტიპისა და მცირე ფერმერული მეურნეობების შექმნა (მარცვლეული და სხვა კულტურების მოყვანა-გადამუშავება);

ბ) ხელოსნობა და შინ შრომა (ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით მცირე საამქროების შექმნა, ხალხური შემოქმედების ნიმუშების რეწვა, სუვენირების წარმოება, ქსოვა, ქარგვა, კერვა);

გ) საყოფაცხოვრებო და მომსახურების ობიექტების ქსელის შექმნა (ტელევიდეოაუდიო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების აპარატურის შეკეთების მცირე უბნები და საწარმოები);

დ)სამრეწველო ობიექტებში სპეციალური საამწყობო უბნებისა და დამოუკიდებელი მცირე საწარმოების ქსელის შექმნა (მაკომპლექტებელი დეტალების აწყობა და სხვ.).

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
№ 841

1996 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მყოფი ბავშვებისათვის სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და დარგობრივი სამინისტროები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ობოლ, ინვალიდ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ინტერნატულ დაწესებულებებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ აგრეთვე საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები, საერთაშორისო საზოგადოება «საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის», ცალკეული ინდივიდუალური ქველმოქმედები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უსახსრობის გამო გაუარესდა საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზა, წლების მანძილზე არ შეკეთებულა შენობა-ნაგებობები, ფაქტობრივად ბავშვები აღარ იღებენ სათანადო საკვებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სასკოლო და მათთვის საჭირო სხვა ნივთებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვების სწავლებასა და აღზრდაზე, მათ საყოფაცხოვრებო პირობებზე.

ყურადღების გარეშეა დარჩენილი საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები.

სათანადოდ ვერ სრულდება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სწავლების, აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისადმი სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) და სოციალური

დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ. გაზდელიანი) ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან (ნ. ნიკოლოზიშვილი) და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეისწავლონ საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში არსებული მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

1.1. ორ თვეში შეიმუშაონ და წარუდგინონ საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად 1997-1998 წლებისათვის მათდამი დაქვემდებარებული სპეციალური სბავშვო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების პროგრამები;

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან, საქართველოს ბავშვთა ფედერაციასთან, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ეროვნულ საბჭოსთან და საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებასთან ერთად შეიმუშაონ წინადადებანი ობოლი, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვებისათვის გამაჯანსაღებელი ბანაკების აღდგენისა და გახსნის თაობაზე;

საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში;

ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან (ნ. ნიკოლოზიშვილი) ერთად ორ თვეში შეიმუშაონ და დასამტკიცებლად წარმოადგინონ სახელმწიფო პროგრამები - «ობოლი ბავშვები» და «ინვალიდი ბავშვები»;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იძულებით გადაადგილებული და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაღუპულთა ოჯახების ბავშვებისათვის სახელმწიფო მზრუნველობის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას;

1.2.შემოიღონ ბავშვის ადვოკატისა და სოციალური მუშაკის სამუშაო განაკვეთები სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულების ფარგლებში;

1.3.სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ აღნიშნულ კონტიგენტთან მომუშავე პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა გეგმები და უზრუნველყონ მათი შესრულება;

1.4.გამოიკვლიონ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვიტონ სპეციალური სკოლამდელი დაწესებულებების რიცხოვნობის ოპტიმიზაციის საკითხი;

1.5.სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად ხელი შეუწყონ

ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვებთან სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას და ამ მიზნით ადგილებზე მატერიალური ბაზის განვითარებას;

1.6.დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ წინადადებები ობოლი, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმებისა და მათთვის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე), განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე) და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე):

ერთ თვეში შეიმუშაონ და წარმოადგინონ განსახილველად ბავშვების გაშვილების პრობლემებთან დაკავშირებით შესაბამისი კანონის პროექტი;

ერთ კვირაში წარმოადგინონ კანონპროექტი, რომელიც ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე დროებით შეაჩერებს საქართველოდან ბავშვების გაშვილებას.

3. ბავშვების გაშვილების მოსაწესრიგებლად შეიქმნას სახელმწიფო კომისია საქართველოს განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ თ. კვაჭანტირაძემ ერთ კვირაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად კომისიის დებულება და შემადგენლობა.

4. ინტერნატული დაწესებულებების ოპტიმიზაციის, ბავშვების სწავლების, აღზრდისა და მატერიალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად შეიქმნას საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მეურვეთა საბჭო.

დამტკიცდეს საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მეურვეთა საბჭოს შემადგენლობა თანდართული სიის მიხედვით და დავალოს მას საქართველოს პრეზიდენტს ერთ თვეში დასამტკიცებლად წარუდგინოს:

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მეურვეთა საბჭოს დებულება;

წინადადებანი ინტერნატულ დაწესებულებათა საქართველოს სამინისტროების, დეპარტამენტებისა და სხვა უწყებების პირველი პირებისათვის მიმაგრების შესახებ.

5. საქართველოს მინისტრებმა, დეპარტამენტის თავმჯდომარეებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა მზარეებში 1997 წლის 1 მაისისათვის წარმოადგინონ ანგარიში გაპიროვნებული სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატებისათვის დახმარების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ.

6. საქართველოს განათლების სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო-საწარმოებისა და დამხმარე

მეურნეობების შექმნის შესახებ.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უმოკლეს ვადაში მოაწესრიგონ სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკლა-ინტერნატების დაფინანსების საკითხი.

ფინანსთა მინისტრმა დ. იაკობიძემ სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დაფინანსების მოწესრიგება და კონტროლი დააკისროს თავის ერთ-ერთ მოადგილეს.

8. საქართველოს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ბიურომ (გ. ყუბანეიშვილი):

სბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე დასვას მათთვის პროდუქტების, მედიკამენტების, ტანსაცმლისა და სამეურნეო ინვენტარის გამოყოფის საკითხი;

სამ დღეში შეისწავლოს 1995-96 წლებში ჩვილ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ყველა სბავშვო სახლსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული პროდუქტების, მედიკამენტების, ტანსაცმლისა და სამეურნეო ინვენტარის განაწილებისა და შეტანის მდგომარეობა.

9. არასრულწლოვანთა საქმეებისა და მათი სოციალური დაცვის სამთავრობო კომისიამ (თ. კვაჭანტირაძე) ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი, არაკეთილსაიმედო და ხელმოკლე ოჯახების შვილთა სოციალური დაცვის, მათი გამოვლენის, აღრიცხვისა და ინდივიდუალური დახმარების ღონისძიებათა გეგმა.

10. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა მხარეებში, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა:

ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინონ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული სბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების კომუნალური მომსახურების საკომპენსაციო სახსრები, მიიღონ ზომები ამ ტიპის დაწესებულებათა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად;

მუნიციპალურ ელექტროკომპანიებთან ერთად გაუმჯობესონ სბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების ელექტრომომარაგება, განახორციელონ ღონისძიებანი ამ ობიექტების განმხოლოებულ კვებაზე გადასაყვანად.

11. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაეკალოს სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურს (ბ. ხატიძე).

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
№ 409

1998 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო.
2. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭოს თანდართული დებულება.

ე. შევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის
9 ივლისის № 409 ბრძანებულებით

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

ვინაიდან:

— დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო ვერ იარსებებს სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, საზოგადოებაც ვერ იარსებებს სახელმწიფოს გარეშე

— დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების უზენაესი ღირებულებაა ადამიანი, სახელმწიფოც და საზოგადოებაც ემსახურებიან ადამიანის კეთილდღეობას

— ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური ორიენტირი დემოკრატიული, სამართლებრივი ქვეყნის მშენებლობაა, სადაც ადამიანის

უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი
– საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1998-2000 წლები გამოცხადებულია საქართველოში ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის განსაკუთრებული ხელშეწყობის წლებად;
– აღმასრულებელ ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის მუდმივი, აქტიური დიალოგი და თანამშრომლობის მოდელის სრულყოფა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს,

მიზანშეწონილია სახელმწიფო კანცელარიასთან შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნების რეალიზაციის პროცესს.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში-საბჭო) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი ორგანოა.
2. საბჭო ასრულებს საკონსულტაციო ფუნქციას.
3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით.
4. საბჭოს შექმნის საფუძველია წევრთა ინტერესები, მიზნები, საქმიანობა.
5. საბჭოს მოქმედების პრინციპებია ნებაყოფლობა, კანონიერება, საჯაროობა, საბჭოს წევრთა თანასწორუფლებიანობა, თვითმართველობა.

II. ძირითადი მიზნები

მუხლი 2.

1. საბჭოს მიზანია:

ა) სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობის განვითარება;

ბ) მმართველობის დემოკრატიული ფორმირების დამკვიდრების ხელშეწყობა.

III. ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3.

1. საბჭოს ამოცანები და ფუნქციებია:

ა) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებას

შორის ურთიერთობათა დემოკრატიული ფორმირების განვითარებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა;

ბ) ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა;

გ) სამოქალაქო საზოგადოების პრობლემატიკის წარმოჩენა, კონკრეტული სარეკომენდაციო წინადადებების მომზადება;

დ) ერთობლივი ღონისძიებების სტიმულირება (სემინარები, სამუშაო შეხვედრები, თრეინინგები, კონფერენციები, პროექტები).

IV. საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 4.

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან საბჭოს თავმჯდომარე, საინიციატივო ჯგუფის წევრები, საბჭოს სხვა წევრები (ფუნქციონალური სფეროებიდან).
2. საბჭოს თავმჯდომარე წევრთაგან დასამტკიცებლად წარადგენს ორ კოორდინატორს, რომლებიც დახმარებას უწევენ მას ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.
3. საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით.

V. საბჭოს წევრობა, უფლებები და მოვალეობანი

მუხლი 5.

1. საბჭოს წევრები არიან:

ა) პროგრამა «სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის» ხელშემწყობი ჯგუფის (შემდგომში–საინიციატივო ჯგუფი) წარმომადგენლები;

ბ) არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ფუნქციონალური სფეროების მიხედვით.

2. საინიციატივო ჯგუფის მოქმედების ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.
3. საბჭოს სხვა წევრთა შემადგენლობა ფუნქციონალური სფეროებიდან იცვლება როტაციის წესით (განისაზღვრება საბჭოს პირველ სხდომაზე).
4. საბჭოში საქმიანობა ნებაყოფლობითია.

საბჭოს წევრები საინიციატივო ჯგუფიდან საბჭოს წარუდგენენ:

ა) ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების

შესახებ;

ბ) წინადადებებსა და რეკომენდაციებს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის შესახებ.

5. საბჭოს წევრები საინიციატივო ჯგუფიდან ეხმარებიან საბჭოს სხვა წევრებს და ფუნქციონალური სფეროს ორგანიზაციებს ერთობლივი მუშაობის წარმართვაში.

მუხლი 6.

1. საბჭოს წევრები ფუნქციონალური სფეროდან რეგულარულად წარადგენენ ინფორმაციას ცალკეული სფეროს ორგანიზაციების საქმიანობისა და პრობლემების შესახებ, წარუდგენენ საბჭოს მათ წინადადებებს და რეკომენდაციებს, ამასთან უზრუნველყოფენ აღნიშნული ორგანიზაციების ინფორმირებას საბჭოს საქმიანობის თაობაზე, მათთან ერთად განიხილავენ პარლამენტისთვის წარსადგენ კანონპროექტებს და ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს.
2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარია:

ა) წარუდგენს საბჭოს ინფორმაციას აღმასრულებელი ხელისუფლების აქტუალური საკითხების შესახებ;

ბ) გააცნობს საბჭოს მთავრობის სხდომაზე წარსადგენ საკითხებს, დამუშავების პროცესში მყოფ კანონპროექტთა ზოგად პრინციპებს, უზრუნველყოფს მათ განხილვაში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას;

გ) აწვდის აღმასრულებელ სტრუქტურებს არასამთავრობო სექტორის წინადადებებსა და რეკომენდაციებს;

დ) ხელს აწერს აღმასრულებელი სტრუქტურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრებს.

VI. საბჭოს სტრუქტურა და მართვა

მუხლი 7.

1. საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე – სახელმწიფო კანცელარიის უფროსი საქართველოს პრეზიდენტის ბძანებულებით 2 წლის ვადით.
2. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტის საბჭოს დებულებას;

ბ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს, წყვეტს საბჭოს საქმიანობის სხვა საკითხებს;

გ) აცნობს საბჭოს მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს საქართველოს პრეზიდენტს (საჭიროების შემთხვევაში), სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებს;

დ) რეკომენდაციას უწევს საბჭოს წევრებს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ან სხვა სამთავრობო ღონისძიებაზე დასასწრებად.

3. საბჭო ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ორ კოორდინატორს (სახელმწიფო და არასამთავრობო მხარე) და განსაზღვრავს მათი უფლებამოსილების ვადას.
4. საბჭოს კოორდინატორი:

ა) დახმარებას უწევს საბჭოს თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების წარმართვაში;

ბ) უზრუნველყოფს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს ინფორმაციით საბჭოს საქმიანობის შესახებ.

5.საბჭო:

ა) იკრიბება თვეში ერთხელ; რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან წევრთა უმრავლესობის ინიციატივით;

ბ) განიხილავს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს;

გ) გამოთქვამს მოსაზრებებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

დ)განსაზღვრავს მორიგი სხდომის დღის წესრიგს (დღის წესრიგში ცვლილებების შემთხვევაში საბჭოს წევრები ინფორმირებული იქნებიან ათი დღით ადრე);

ე)საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მდივანი.

VII. საბჭოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 8.

საბჭოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
№ 445

1998 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოში მცხოვრებ უდედმამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში მცხოვრებ უდედმამო ბავშვთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიზნით:

1. საქართველოში მცხოვრებ იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობისათვის მიიღებენ სახელმწიფო აღმზრდელობით დაწესებულებებში განწესებულ უდედმამო ბავშვებს, დაუწესდებათ საქართველოს პრეზიდენტის ერთჯერადი თანადგომა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.

1998 წელს ამ მიზნით თანხები გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან, ხოლო მომდევნო 1999 წელს ასეთი თანხები გაიცემა საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი საბავშვო დაწესებულებების შესანახი ხარჯებიდან.

2. იმ ოჯახებს, რომლებიც იზრუნებენ და მეურვეობას გაუწევენ საბავშვო სახლებისა და სპეციალური ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელს, დაუწესდებათ სოციალური დახმარება ბავშვის სრულწლოვანებამდე თვეში ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობით შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან.

მიღებულია ცნობად, რომ საერთაშორისო საზოგადოება «საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის» მათვე შეძლებისდაგვარად აღმოუჩენს ფინანსურ დახმარებას.

3. საქართველოს განათლების სამინისტრომ, ეკონომიკის სამინისტრომ, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ ერთ თვეში უნდა შეიმუშაონ აღნიშნული ოჯახების ფინანსური დახმარებისა და გაცემის წესი.

4. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოს იმ უდედმამო

ბავშვების სახელმწიფო სამედიცინო მომსახურება, რომელთაც სახელმწიფო აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან ზრუნვისა და მეურვეობის მიზნით მიიღებენ საქართველოში მცხოვრები ოჯახები.

5. საქართველოს განათლების სამინისტრომ, სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთიანთ უწყებრივ სააღმზრდელო დაწესებულებებში შეარჩიონ ის ბავშვები, რომელთა მეურვეობაც შეიძლება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეარჩიონ შესაბამისი ოჯახები, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ ბავშვებზე ზრუნვისა და მეურვეობის სურვილი, შესაბამისი პირობები და განათლების სამინისტროში წარადგინონ ინფორმაცია მათ შესახებ.

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება
№ 702

1998 წლის 8 ოქტომბერი ქ. თბილისი

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წლის ხანდაზმულთა საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წელი გამოცხადებულია ხანდაზმულთა საერთაშორისო წლად დევიზით «ყველა თაობის საზოგადოებას». საქართველო უერთდება გაეროს მოწოდებას და საჭიროდ თვლის აქტიურად ჩაებას ხანდაზმულთა საერთაშორისო წლის ღირსეულად აღნიშვნის საქმეში, რათა სათანადოდ დაფასდნენ ხანდაზმული, ნაამაგარი ადამიანები და შენარჩუნებულ იქნეს მათ მიმართ პატივისცემის ეროვნული ტრადიციები.

ამასთან დაკავშირებით:

1. ხანდაზმულთა საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა შემზადებისა და ორგანიზებულად მოწყობის მიზნით შეიქმნას სამთავრობო კომისია თანდართული სიის მიხედვით.

2, სამთავრობო კომისიამ (ზ. შემგელია) და საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ. გაზდელიანი) გაუწიონ კოორდინაცია ამ პრობლემებით დაინტერესებულ სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას და მიმდინარე წლის 10 დეკემბრისათვის წარმოადგინონ ქვეყანაში ხანდაზმულთა პრობლემების მოგვარების 1999-2000 წლების ეროვნულ-მიზნობრივი პროგრამა; მასში გამოკვეთილად იქნეს მითითებული რეგიონალური მიზნობრივი პროგრამები სათანადო დაფინანსებით.

3. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ უზრუნველყოს ხანდაზმულთა პრობლემებზე მომუშავე ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციის შესრულება და დამტკიცდეს იგი როგორც ხანდაზმულთა პრობლემების პროგრამების დამკვეთი.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი) განიხილოს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ხანდაზმულთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა ეროვნული პროგრამის ხარჯთა ნუსხა და საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ხარჯებში ცალკე სტრიქონით გაითვალისწინოს ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის დაფინანსება. ანალოგიური წესით განიხილოს აღნიშნული პროგრამის ხარჯთა ნუსხა საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესშიც.

5. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ადგილებზე შექმნან საორგანიზაციო რეგიონალური კომისიები, შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე ქვეყნის ეროვნულ მიზნობრივ პროგრამაში გასათვალისწინებლად ეროვნულ საკოორდინაციო ცენტრში წარადგინონ რეგიონალური მიზნობრივი პროგრამები ხანდაზმულთა საერთაშორისო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ხარჯზე, უფროსი თაობის მოქალაქეთა სოციალური მხარდაჭერის კომპლექსურ ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფით.

6. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა შექმნან კომისიები დარგში ხანდაზმულთა წლის ღირსეულად აღნიშვნისათვის; ამასთან, მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე მოამზადონ კონკრეტული წინადადებები ხანდაზმულთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ და ქვეყნის ეროვნულ მიზნობრივ

პროგრამაში გასათვალისწინებლად წარუდგინონ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს სათანადო დაფინანსების მითითებით.

7. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ წარმოადგინოს «მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ», «საქმიანობა-შრომითი ექსპერტიზის შესახებ» და «ხანდაზმულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონების პროექტები.

8. ეთხოვოთ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას (ა. გოგელია) და ინფორმაციის სხვა საშუალებებს სისტემატურად გააშუქონ ხანდაზმულთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებული მასალები.

9. განკარგულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელმძღვანელობის განყოფილებას (დ. ჯოჯუა).

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
№ 665

1996 წლის 14 ოქტომბერი ქ. თბილისი

«ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის» დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების თანდართული სახელმწიფო პროგრამა.

სახელმწიფო პროგრამის შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ზ. შენგელიას.

ე. შევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1996 წლის 14 ოქტომბრის
№665 ბრძანებულებით

ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა

(ფრაგმენტები)

I. *მიზანი*

ინვალიდთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის ომის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სრულყოფილი აღრიცხვა და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

1.1. *ღონისძიებათა დასახელება*

საქართველოში მცხოვრებ ყველა კატეგორიის ინვალიდთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების სრულყოფილი აღრიცხვა-კომპიუტერიზაცია, მათი შრომისუნარიანობის, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების, სხვა მონაცემების გამოვლენა და შესწავლა.

1.1.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წ. 31 მაისის № 116 განკარგულება;
საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 11 აგვისტოს №502 ბრძანებულება.

1.2. *ღონისძიებათა დასახელება*

ინვალიდთა ეფექტიანი მომსახურებისათვის ლოკალური საინფორმაციო ქსელის შექმნა, ინვალიდთა მოთხოვნილებებისა და სხვადასხვა სახის სამედიცინო-სოციალური დახმარების საჭიროების გამოვლენა, რესპუბლიკური საინფორმაციო ბანკის შექმნა, მისი ჩართვა საერთაშორისო სისტემაში.

1.2.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს კანონი «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ»;
გაეროს განვითარების პროგრამის მისიისა და ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) 1996 წ. 1 აგვისტოს ხელშეკრულება.

II. *მიზანი*

ინვალიდთა სოციალური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ინვალიდთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

2.5. *ღონისძიებათა დასახელება*

ინვალიდთა შრომითი დასაქმებისა და შრომითი პირობების შესახებ საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტების მომზადება:
- გონებრივად ჩამორჩენილ ინვალიდთა სამუშაო პირობებისა და უფლებების განსაზღვრა და შრომით კანონმდებლობაში შესაბამის შესწორებათა შეტანის შესახებ წინადადებების მომზადება;
- არსებულ კანონმდებლობაში გონებრივად ჩამორჩენილთა განათლების დამატებით უფლებათა განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების მომზადება;
- საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინვალიდთა სწავლების წინაალმდეგჩვენებათა განსაზღვრა და ნოზოლოგიური ჩამონათვალის შედგენა;
- თანდაყოლილი ართრიტებით დაავადებულ ინვალიდ ბავშვთა პროფესიული ორიენტაციის მეთოდოლოგიურ ღონისძიებათა შემუშავება.

2.5.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს დებულება;
გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წ. 20 დეკემბრის №48/96 რეზოლუცია.

2.6. ინვალიდთა განათლებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის საკანონმდებლო აქტების მიღება.

2.6.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს კანონი «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ»;
გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წ. 20 დეკემბრის №48/96 რეზოლუცია.

V. *მიზანი*

ინვალიდთა პროფესიული ორიენტაცია და შრომითი დასაქმება.

5.1. *ღონისძიებათა დასახელება*

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გაუმჯობესება:
- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიების ქსელისა და სტრუქტურის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

5.1.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს კანონი «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ».

5.2. *ღონისძიებათა დასახელება*

ინვალიდთა პროფესიული ადაპტაცია:
- ინვალიდთა შრომითი რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების განხორციელება;
- ინვალიდთა სასწავლო-საწარმოო დაწესებულებების ქსელის შექმნა-

სრულყოფა;
- სამუშაო ადგილების ატესტაცია, ფუნქციური შესაძლებლობების შესაბამისად ინვალიდთა შრომითი მოწყობისათვის სამუშაო ადგილების გამოვლენა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ორგანიზაცია;
- შრომის პირობების შესწავლა, დაცვა, შრომითი რეაბილიტაციისათვის სამუშაო ადგილების დაჯავშნა; იმ საწარმოთა აკრედიტაცია, სერტიფიცირება და ლიცენზირება, სადაც გამოიყენება ინვალიდთა შრომა ან იწარმოება ინვალიდთათვის საჭირო პროდუქციე.

5.2.1. *ნორმატიული საფუძველი*

საქართველოს კანონი «ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ»;
საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 11 აგვისტოს №502 ბრძანებულება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება
№ 543

1998 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა საზოგადოებაში ინტეგრირების, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, პროფესიული სწავლებისა და დასაქმებისათვის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობებისა და გარანტიების შექმნის მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის თანდართული სახელმწიფო პროგრამა;

2. ვეტერანთა მოძრაობის მიმართ მზრუნველობისა და მხარდაჭერისათვის:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი), ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა); ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ (თ. ბერუჩაშვილი), საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს სამდივნომ (თ. ბასილია) სათანადო დახმარება

აღმოუჩინონ საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსების გამონახვისა და ინვესტიციების მოზიდვის საქმეში;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურმა (ბ. ხატიძე) აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად უზრუნველყოს ქალაქების მერიებისა და რაიონების გამგეობების მიერ საჭირო მიწის ნაკვეთებისა და არასაცხოვრებელი ფართის გამოყოფა;

გ) საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (ვ. ადეიშვილი) და ქალაქ თბილისის მერიამ (ი. ზოდელავა) აღმოუჩინონ სათანადო დახმარება საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს ავტოტრანსპორტის ლიცენზირებისა და მათთვის ადგილების დაჯავშნის თვალსაზრისით.

ე. შევარდნაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
1998 წლის 1 ოქტომბრის
№ 543 ბრძანებულებით

საქართველოში მცხოვრებ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის დასაწყისი	– 1998 წლის 1 ოქტომბერი
პროგრამის დასასრული	– 2001 წლის 31 დეკემბერი
პროგრამის საერთო ღირებულება	– 10 090 000 აშშ დოლარი

ანოტაცია

საქართველოში მცხოვრებ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა, მათთან გათანაბრებულ პირთა, ვეტერან-ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის კომპლექსური პროგრამა თავის თავში მოიცავს ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, სამედიცინო, პროფესიული, შრომითი და სოციალური რეაბილიტაციის ეტაპობრივი უზრუნველყოფის მიზანმიმართული პროექტების რეალიზაციას, რაც საგრძნობლად

გაუადვილებს მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და გაუმჯობესებს ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღ ურთიერთობებს.

გარდა ამისა, ითვალისწინებს ვეტერანთა მდგომარეობის მონიტორინგს, პრევენციასა და პროფილაქტიკას კრიზისის ფსიქოლოგიის მართვის სხვადასხვა საშუალებებით, საზოგადოების ცხოვრებაში ვეტერანთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობის წანამძღვრების შექმნას, განვითარების იმ ცალკეული პროგრამებისა და პროექტების სტიმულირებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებას.

აღნიშნული პროგრამა ემყარება ვეტერანთა პრობლემებისადმი მიდგომის უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებასა და საქართველოს ვეტერანთა სპეციფიურობას, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის ავტორთა პირადი გამოცდილებაც, რადგან მათი უმრავლესობა ზემო ნახსენები კონტიგენტის წარმომადგენელია.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემადგენელი პროექტების უმრავლესობა ითვალისწინებს სახელმწიფოსა და პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსს, კერძოდ, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და რეგიონალური მასშტაბების წარმოჩენას ევროპული ინტეგრაციის ჭრილში, ამასთან, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების რეკომენდაციებს გარკვეული ობიექტების მომზადებას საპრივატიზაციოდ სახელმწიფოსათვის მომგებიანი პროგრამით.

მიუხედავად სახელმწიფო ზრუნვისა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ, ბიუჯეტის სიმწირის გამო დეპარტამენტის ფინანსური მდგომარეობა და ინსტიტუციური მოწყობა სუსტად გამოიყურება, რაც აფერხებს მის სრულფასოვან ფუნქციონირებას. ყოველივეს აღმოსაფხვრელად არის მიმართული წინამდებარე პროგრამა, რომელიც გათვლილია ხანგრძლივ პერიოდზე, რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ ფუნქციონირების გაგრძელებას და დაგროვილი მოგების ხარჯზე სადაზღვევო პრინციპების თანამედროვე მოდელის გათვალისწინებით შექმნას, ამასთან, აღნიშნული პროგრამა, როგორც ეკონომიკური მოდელი აგებულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს ინვესტიციების, გრანტების და მიზნობრივი კრედიტების ათვისების საფუძველზე მძლავრ მატერიალურ-ტექნიკური ბაზაზე დაფუძნებულ მომგებიანი წარმოების შექმნას, რომლის ფუნქციონირების შედეგად მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი მოხმარდება ვეტერანთა სოციალური დაცვის, უზრუნველყოფისა და დაზღვევის მყარი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

პროგრამის ძირითადი მიმართულებანი

- ვეტერანთა რეაბილიტაციის საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეცნიერო-მეთოდური და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- საქართველოს მოქალაქეთა პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებისათვის ხელშეწყობა;
- პირველადი დახმარებისა და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება;
- სასწავლო-საწარმოო დაწესებულებათა ქსელის შექმნა-სრულყოფა;
- პროფესიული ორიენტაცია და ადაპტაცია;
- შრომითი რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების რეალიზება;
- სამუშაო ადგილების ატესტაცია, გამოვლენა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შინ შრომის სისტემის ჩამოყალიბება;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ-დასასვენებელი კომპლექსის შექმნა;
- შემოქმედებითი მოღვაწეობა.

შინაარსი

I. პროგლემის არსი

1.1. ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა;
1.2. პროგრამის სამართლებრივი ბაზა.

II. პროგრამით გათვალისწინებული პროექტები

2.1. საინფორმაციო–ანალიტიკური ცენტრის შექმნა;
2.2. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სამართლებრივი ცნობიერებისა და საქართველოს მოსახლეობის მოქალაქეობრივი და პატრიოტული თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობა;
2.3. სამედიცინო რეაბილიტაცია - ამბულატორიული სამედიცინო დახმარებისა(პირველადი ჯანდაცვა) და სტაციონარული ობიექტების ქსელის შექმნა;
2.4. საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა რეგიონული ქსელით;
2.5. ბიზნეს-ცენტრი - დასაქმების აქტიური პოლიტიკისა და სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების მექანიზმი;

2.6. ტურიზმის განვითარება;
2.7. სპორტული ღონისძიებები;
2.8. მხატვრული თვითშემოქმედება და მუსიკალურ-თეატრალური მოღვაწეობა.

III. პროგრამის ბიუჯეტი ფუნქციონალურ ჭრილში

IV. დასკვნა

I. პროგლემის არსი

1.1.ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცების, სამართლებრივ-დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ეპოქის თანამედროვე ეტაპზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ ისედაც რთულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს ეკონომიკაში სისტემური ცვლილებების განხორციელება.
საბაზრო ეკონომიკის უკვე საწყისი სტადიისათვის ბუნებრივად თანამდევმა მოვლენებმა წარმოშვა ისეთი ახალი პრობლემები, რომლებიც ადრინდელ სოციალურ პროგრამებში არ იყო ჩადებული და ვერც იქნებოდა, რადგან ცნებებს «ინფლაცია», «უმუშევრობა», «ფასების ლიბერალიზაცია» და ა.შ. სოციალისტური ცხოვრების თეორია და პრაქტიკა გამორიცხავდა.
ამასთან, სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების დამკვიდრებასა და რეფორმებს ჩვენი საზოგადოება შეხვდა სრულიად მოუმზადებელი. მართალია, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ხელისუფლება ცდილობდა სოციალური დახმარებების გაცემის სისტემის შენარჩუნებას, რაც მიმართული იყო მცირეშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ცვლილებებით გამოწვეული მძიმე შედეგების შესამსუბუქებლად, მაგრამ ფაქტია, ყველა კატეგორიის მოქალაქეთათვის ერთნაირი სოციალური გარანტიების მიცემა როგორც სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემის, ისე კერძო ბაზრის მიერ ძალზე ძნელია. ამგვარ ვითარებაში ყველაზე უსუსურად გამოიყურებიან ვეტერანი ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დასახიჩრებულნი (უმძიმესია აგრეთვე ამ ბრძოლებში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრების მდგომარეობა), რადგან ისინი, ერთის მხრივ, არაკონკურენტუნარიანნი არიან შრომის ბაზარზე, ხოლო, მეორეს მხრივ, არ არსებობს მეცნიერულ დონეზე დამუშავებული და ჩვენს რეალობასთან მისადაგებული მეთოდური რეკომენდაციები სოციალ-ეკონომიკური და სხვა

ნეგატიური (კონკრეტულ შემთხვევაში საომარი მოქმედებებში მონაწილეობით) პროცესებით გამოწვეული უარყოფითი ფსიქიკური მოვლენების პროფილაქტიკის, შინაგანი რესურსების გააქტიურებისა და მათში თვითრეგულაციის უნარის განვითარების შესახებ ახალ რეალობასთან ადაპტაციის მიზნით, რის გამოც ზემოხსენებული სოციალური ჯგუფები საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულ ადრესირებულ დახმარებას.

მართალია, საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში ნორმატიული აქტების საფუძველ-ზე განხორციელდა მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებები, მაგრამ ახალ რეალობასთან ადაპტირებული სოციალური პოლიტიკის ფორმირების პროცესში პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა სახელ-მწიფო დონეზე ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის ერთნაირი სოციალუ-რი გარანტიების მიცემა.

თუმცა ერთი რამ უდაოა:

საქართველო მტკიცედ დაადგა რადიკალურ რეფორმათა და სისტემურ-სტრუქტურულ ტრანსფორმაციათა განხორციელების გზას, რაც გულისხმობს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო-ეკონომიკურ და კერძო-საკუთრებით ურთიერთობათა დამკვიდრება-განვითარებას, რის შედეგადაც უნდა აშენდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული ქართული სახელმწიფო, სადაც თითოეულ მოქალაქეს შეექმნება ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავისუფალი, თანასწორი და ღირსეული პირობები, ხოლო ვეტერანთა პრობლემებზე ზრუნვა ხელისუფლებამ აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, რისი დადასტურებაც სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად არის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნა.

1.2.საკანონმდებლო ბაზა

1.2.1. *საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია*

1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ტექსტი.

ქვეყნის ძირითადი კანონის პრეამბულის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ერთ-ერთი მთავარი მისწრაფებაა, დემოკრატიული და სამართლებრივი სახოგადოებრივი წესწყობილებისა და ეკონომიკური თავისუფლების დამკვიდრება.

კონსტიტუციის მე-2 თავის «საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი» მე-14 მუხლით აღიარებულია *სოციალური თანასწორობის პრინციპიც.*

32-ე მუხლის თანახმად, «სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით».

36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, «დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით».

საგულისხმოა 39-ე მუხლი, რის თანახმადაც «საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველ-თაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან».

1.2.2. *საქართველოს კანონი «ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ»*

«ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ» კანონი 1996 წლის 17 ოქტომბერს მიიღო ქვეყნის უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ.

ეს კანონი სხვა სათანადო საკითხებთან ერთად, არეგულირებს მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სპრძოლო მოქმედებებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლე-ბისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაინვალიდებულ პირთა სოციალური დაცვის ძირითად ასპექტებს და მათთვის აწესებს შესაბამის შეღავათებს.

1.2.3. *საქართველოს კანონი „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ"*

ამგვარი დასახელებით მიიღო საქართველოს 1995 წლის მოწვევის პარლამენტმა 1992-95 წლებში შემუშავებული კანონპროექტი «სამხედრო პენსიების შესახებ», რითაც პირველი ნაბიჯი გადაიდგა მოსახ-ლეობის საპენსიო უზრუნველყოფის რეფორმის გზაზე.

ეს აქტი, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნის პირობებს, ნორმებსა და წესებს იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დაინვალიდნენ საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის ინტერესების, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვისას ან სხვა სამხედრო თუ ოპერატიულ მოვალეობათა

შესრულებისას, აგრეთვე, სხვა ქვეყნების ლოკალურ ომებში მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების, კონტუზიისა ან დაავადების გამო.

ეს კანონი ძალაში შევიდა 1997 წლის 1 იანვრიდან.

1.2.4. *საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 სექტემბრის № 526 ბრძანებულება „საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“*

აღნიშნული ბრძანებულების მე-8 პუნქტი ითვალისწინებს «ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ», «საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ» კანონების შესაბამისად 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას.

1.2.5. *კანონი «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ»*

კანონი ითვალისწინებს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა, მათ შორის ტყვედ ნამყოფთა, სოციალური დაცვის გარანტიებს. შესაბამისად მათ უწესდებათ ის უფლებები და შეღავათები, რითაც ვეტერანები სარგებლობენ. ამასთან, გარდამავალი დებულებანი ითვალისწინებს ამ კანონით განსაზღვრულ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის განხორციელებას «საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონით ომის ინვალიდთათვის დაწესებული პენსიის ოდენობის მიხედვით.

II. პროგრამით გათვალისწინებული პროექტების აღწერა

2.1. საინფორმაციო ცენტრის შექმნა

უკანასკნელ პერიოდში, როცა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საგრძნობლად გამოიკვეთა გარკვეული დადებითი ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივები, განსაკუთრებით გაიზარდა სოციალურად ნაკლებადუზრუნველყოფილ ფენათა, მათ შორის, ვეტერანთა და საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაინვალიდებულ პირთა შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების, მათ და ამ ბრძოლებში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახის წევრების (აგრეთვე სხვა სოციალური ჯგუფების) გადაუდებელი

საჭირობების შესახებ სოციალური ინფორმაციისა და სტატისტიკის მნიშვნელობა.

მიზანი

მიმართულების მიზანია, საზოგადოების განვითარების პროგრამებში აისახოს ვეტერანთა მონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპების ყველა ასპექტია რეაბილიტაციის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და თავიანთი შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით ვეტერანთა მაქსიმალური ჩართვა განსახორციელებელ პროგრამებში, ეს კი გამოიწვევს იმ სოციალური ფაქტორების დაძლევას, რაც ხელს უწყობს ვეტერანთა იზოლაციას საზოგადოებისაგან.

ჩასატარებელი სამუშაოები

ა) ვეტერანთა მონაცემების მუდმივადგანახლებადი საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ბ) კომპლექსური რეაბილიტაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებისათვის შესაბამისი სამსახურის აღჭურვა «სამართლებრივი დოკუმენტების» სისტემატიზირებული მძლავრი საძიებო სისტემით;

2.2. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სამართლებრივი ცნობიერებისა და საქართველოს მოსახლეობის მოქალაქეობრივი და პატრიოტული თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობა

ვეტერანთა და ინვალიდთა ერთ-ერთ ძირითად პრობლემად კვლავ რჩება საზოგადოების დანარჩენ წევრებთან შედარებით შეზღუდული შესაძლებლობებით (რაც, უმრავლეს შემთხვევაში, გადაზრდილია არასრულფასოვნების კომპლექსში) გამოწვეული გამძაფრებული ემოციური დაძაბულობა, სახელმწიფოსა თუ სხვა პირზე დამოკიდებულის, კმაყოფაზე მყოფის განწყობილება, რაც ხელს უშლის ახალ რეალობასთან ადაპტაციისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფაქტორის - მათში თვითრეგულაციის უნარის განვითარებასა და შინაგანი რესურსების მობილიზება-გააქტიურებას.

ვეტერანთა და ინვალიდთა რეაბილიტაცია, როგორც ეს განსაზღვრულია «ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული

წესებით», არ გულისხმობს მხოლოდ სამედიცინო დახმარებას, ფუნქციათა უქონლობის, შეზღუდვის ან დაკარგვის შემთხვევაში. იგი თავის თავში მოიცავს მოქმედებათა გაცილებით უფრო ფართო სპექტრს, როგორიცაა სულიერი, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, პროფესიული და შრომითი რეაბილიტაცია.

მიზანი

- არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა და საკუთარი თავისადმი რწმენის აღდგენა საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების ხარჯზე;
- ვეტერანთა, მათი ოჯახის წევრთა და მთელი საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ხარჯზე მოსახლეობის პატრიოტული თვითშეგნების ამაღლება;
- ინფორმაციისა და პრაქტიკულ-მეთოდური მომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფა ამ კატეგორიისა და ყველა სხვა დაინტერესებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთათვის;
- სოციალური დაცის სფეროში მიმდინარე რეფორმათა წარმატებით განხორციელება;
- საკანონმდებლო ბაზის დახვეწა-სრულყოფა.

ჩასატარებელი სამუშაოები

1. ვეტერანთა დამსახურების აღმნიშვნელი სამკერდე ნიშნის დამზადება;
2.საინფორმაციო და შემეცნებითი სატელევიზიო გადაცემების ციკლის ორგანიზება მათი ინფორმირებისა და სათანადო განმარტებითი სამუშაოების მიზნით - ვეტერანთათვის ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების სისტემათა ფარგლებში მათი უფლებების, აგრეთვე იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც მათ მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს ეხება და ითვალისწინებს ამ კატეგორიის პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსს;
3. ვეტერანთათვის ინფორმაციის მისაწვდომობისა და განსახორციელებელ პროგრამებში მათი აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით, ბუკლეტებისა და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა;
4. მართვის ტელე-რადიო-კომუნიკაციური უზრუნველყოფის კვანძის ამოქმედება;
5. გაზეთის გამოცემა - რაც ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, ვეტერანთა შესაძლებლობების, პრობლემებისა და მათთვის აქტუალური საკითხების

წარმოჩენას, ხოლო, **მეორეს** მხრივ, ამ პრობლემებისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდასა **და ვეტერ**ანთა სოციალური დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის **გაუმჯობესებისა**კენ მიმართული ღონისძიებების საჯაროობას.
6. ისტორიული **კვლევა კავკ**ასიის ბრძოლების შესახებ;
7. საინფორმაციო-**მეთოდური** ბიულეტენის პერიოდულად გამოცემა;
8. ღირშესანიშნავი **თარიღ**ებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება.

2.3. სამედიცინო რეაბილიტაცია-ამბულატორიული სამედიცინო დახმარებისა (პირველადი ჯანდაცვა) და სტაციონარული ობიექტების ქსელის შექმნა

საქართველოს **ჯან**დაცვის სახელმწიფო სისტემაში მიმდინარე რეფორმები განსაკუთრებით მტკივნეულად მოქმედებს ვეტერანების, მათი ოჯახის წევრებისა **და სხ**ვა სოციალურად დაუცველი ფენების ფსიქო-ემოციურ და მატერიალურ **მდ**გომარეობაზე. ფასიანი სამედიცინო მოსახურების არსებობის პირობებში **მათი** უმეტესობა არათუ ვერ ღებულობს კვალიფიციურ სამედიცინო **დახმარებას, არ**ამედ სახსარიც კი არ გაჩნია ოჯახისათვის აუცილებელი ელემ**ენტარული** მედიკამენტების შესაძენად.

აღნიშნულ **ვითარ**ებაში ვეტერანთა სამედიცინო რეაბილიტაცია გულისხმობს მათი **ეფექტური** სამედიცინო მომსახურების სისტემის შექმნას, რისი ფუნქციონირებაც **სახელ**მწიფომ უნდა უზრუნველყოს.

ამგვარი **სისტემის** ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში **ვეტერანთა** სამედიცინო რეაბილიტაციის მსოფლიო სტანდარტების **შესაბამისი** საერთო ეროვნული ცენტრისა და მისი რეგიონული ფილიალების **შექმ**ნა.

ამასთან, **არანაკლებ** მნიშვნელოვანია ვეტერანთა და მათი ოჯახის წევრთა სანატორიულ-**კურ**ორტული მკურნალობის საკითხების მოგვარება სათანადო **გამაჯან**ს**ალებელი** კომპლექსების ჩამოყალიბების გზით.

განსაკუთრ**ებული მნ**იშვნელობა უნდა მიენიჭოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, **რისთვის**აც უნდა განხორციელდეს ახსნა-განმარტებით და პროპაგანდისტულ **ღონის**ძიებათა მთელი კომპლექსი.

მიზანი

ვეტერანებისა და **მათი ოჯახის** წევრთა პირველადი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის **უზრუნ**ველყოფა, პრევენცია და პროფილაქტიკა, ვეტერანთა სამედ**ი**ცინო მომსახურეობის მოცულობისა და ხარისხის

გაუმჯობესება

ჩასატარებელი სამუშაოები

1. პირველადი სამედიცინო მომსახურების უზრუნველ**საყოფად** ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ღონისძიებათა **იმგვარი** კომპლექსის შემუშავება-განხორციელება, რაც მოიცავს:
   ა) ვეტერანთა მდგომარეობის შეფასებას პირველადი **კონტ**აქტით;
   ბ) დიაგნოსტიკას;
   გ) პრევენციასა და პროფილაქტიკას;
2. ფსიქოლოგიური განტვირთვის სისტემის უზრუნველ**ყოფა ფსიქ**ოთერაპიის კაბინეტების ქსელის შექმნის ჩათვლით (ფსიქოკორ**ექცია);**
3. ხანდაზმული ვეტერანების დიაგნოსტიკა, მკურნალ**ობა და** პროფილაქტიკა გერიატრიული ცენტრის ბაზაზე.

2.4. საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა რეგიონული ქსელით

საქართველოში ახალ საზოგადოებრივ და საბაზრო **ურთ**იერთობათა დამკვიდრების პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა **ენიჭება** კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებ**ის საკ**ითხს, რაც ყველაზე მწვავედ საგრძნობია ვეტერანებისა და **სხვა** სოციალური თვალსაზრისით ნაკლებად დაცული ფენებისათვის.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, პრაქტიკული **ღონ**ისძიებების გატარებამდე უნდა შემუშავდეს პროფესიათა ჩამონათვალი, **განი**საზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, ხოლო მომ**ზადების** პროცესი მოთხოვნილების გათვალისწინებით დაეყრდნოს დიფერენ**ცირებულ** მიდგომას. კერძოდ: არსებული რეალობის გათვალისწინებით უნდა **შედგეს** სასწავლო პროგრამები მარტივი ოპერაციული დანიშნულებისა **და პრ**ოფილური სპეციალისტებისათვის. სასწავლო-საწარმოო პროცესის **უზრუნველ**საყოფად შესაძლოა გამოყენებული იქნას პროფესიულ-ტექნიკური **განათლ**ების დღეს არსებული სისტემა, იმ საწარმოთა სამუშაო უბნები, **რომლებ**იც მთელი სიმძლავრით არ არიან დატვირთულნი, სავაჭრო და **სხვა** შესაბამისი ობიექტები, შეიქმნას სახელოსნოები, სადაც თეორიული **კურსის** გავლასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავ**ების პარა**ლელურად მოსაზადებელ მცირერიცხოვან ჯგუფებს მიეცემათ შეს**აძლებლ**ობა მიიღონ მონაწილეობა მომგებიანი დაკვეთების შერულებაში. **ამგვარი** მიდგომა მინიმუმამდე შეამცირებს შრომითი სწავლების პროცე**სის მატ**ერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო სახსრ**ების ხარ**ჯვას.

რაც შეეხება დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ **დაკარგულ**თა ოჯახის

წევრებს, მ**ათი უმეტ**ესობისათვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სხვადასხვა **მოსამზ**ადებელი კურსების ჩამოყალიბება

ამ**სთან, ამ** თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის სის**ტემის** მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ახალი სტანდარტების შესაბამისად.

მიზანი

- იმ ახალ **იდეათა** განხორციელება და სიახლეთა დანერგვა, რაც ნაყოფიერი და სასარგებ**ლო იქ**ნება განათლების სისტემის რეფორმის მიმდინარე ეტაპისა და გარდამ**ავალი** პერიოდის პრობლემათა მოგვარების თვალსაზრისით;
- ცხოვრებ**ისა და** საქმიანობის ახალ პირობებთან ამ კატეგორიის პირთა ადაპტაციისა **და** საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის მომზადება;
- სოციალ**ური** დაცვის სისტემის მუშაკთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებ**ასა და** კვალიფიკაციის ამაღლება.

Friedrich Ebert Stiftung * Bonn * Bibliothek

ჩასატარებელი **სამ**უშაოები

1) ვეტერ**ანთა და** ინვალიდთა სწავლების ორგანიზება
   ა) ძირითა**დი სპ**ეციალობის მინიჭებით;
   ბ) გადამზ**ადება** ახალი სპეციალობის მინიჭებით;
   გ) კვალ**იფიკაციის** ამაღლება;
2) ვეტერ**ანთა და** საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიან**ობისათ**ვის დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის **წევრ**თათვის მოსამზადებელი კურსების შექმნა;
3) ვეტერ**ანთა სო**ციალური დაცვის სისტემის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლ**ების მი**ზნით ტრენინგ-სემინარების სპეციალური პროგრამის შემუშავ**ება მა**თი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით
4) სამეცნ**იერო** სიმპოზიუმების, კონფერენციების, ოლიმპიადებისა და კონკურ**სების** ორგანიზება.
5) მეთოდ**ური რეკ**ომენდაციების შემუშავება-გამოცემა.

2.5. ბიზნესცენტრი - დასაქმების აქტიური პოლიტიკისა და სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების მექანიზმი;

მიზანი

ვეტერანთა **დასაქ**მების აქტიური ხელშეწყობისათვის წარმოების აღორძინება

და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც აგრეთვე უზრუნველყოფს პროფესიულ და შრომით რეაბილიტაციას. **კონკრეტულად** უნდა მოხდეს

ა) სამუშაო ადგილების ატესტაცია-გამოვლენა;

ბ) ვეტერანთა შრომის ბირჟის შექმნა;

გ) განვითარებისა და თვითდახმარ**ების იმგვარი** პროგრამების სტიმულირება, რასაც არ სჭირდება **დიდი კაპიტ**ალდაბანდება და იძლევა სწრაფ უკუგებას;

დ) ვეტერანთა შრომის გამოყენების **სტიმულ**ირება წარმოების, რეალიზებისა და მომსახურების ცალ**კეულ სფ**როებში;

ე) სასწავლო-საწარმოო დაწესებულებათა **ქსელის** შექმნა-სრულყოფა;

ვ) გადაადგილებისუნარმოკლებულ ვეტ**ერანთათვის** შინ შრომისა და მცირე სამეურნეო ერთეულების ქსელის **შექმნა;**

კონკრეტული პროექტები

(გთავაზობთ მხოლოდ პროექტთა ჩამონათვალს - *რეგ. შენ.*)

1. *უალკოჰოლო მატონიზირებელი ნატურალური* **გ**ა*ზიანი სასმელის «ფანტაზიის» წარმოება;*
2. *კავკასიური რეგიონალური კინოლოგიური* **ცენტრის** *შექმნა (კვების პროდუქტების წარმოება);*
3. *მსუბუქი ავიაციის განვითარება;*
4. *საავტომობილო ინფრასტრუქტურების* **განვითარება** *სამხრეთ კორეულ ფირმა «HYNDAI CORPORATION»-თან* **ერთად;**
5. *«აბრეშუმის გზის» სამედიცინო და* **ტექნიკური მომსახ**ურება;
6. *გრანულირებული და ხსნადი ჩაის* **საწარმ**ო;
7. *გარე ვაჭრობის ინვენტარისა და მოწყობილ**ობების** წარმოება;*
8. *ფეხსაცმლის წარმოება;*
9. *სელის კულტურის აღორძინება;*
10. *ვეტერანთა ბიზნეს სახლი;*
11. *ვეტერანთა და ინვალიდთა მაღაზიების* **ქსელის** *ორგანიზება;*
12. *ტრადიციული ხალხური რეწვის* **აღორძინება და** *განვითარება;*
13. *ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი.*

2.6. ტურიზმის განვითარება

მიზნები

საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი: მრავალფეროვანი ლანდშაფტები და კონტრასტებით მდიდარი ბუნება, კარსტული მღვიმეები, შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკული ზონა, სამკურნალო-მინერალური წყლები და კურორტები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, ჩვენი ხალხის მიერ დღემდე შემონახული ეთნოგრაფიული, ცოცხალი ყოფითი ტრადიციები ქვეყნის ცალკეული კუთხებისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ტურიზმი იქცეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სავალუტო შემოსავლების მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. საბჭოთა პერიოდის დროინდელი ჩვენში არსებული ტურიზმის ფორმები დღეისათვის ძალზე მოძველებულია. დღეს საჭიროა ტურიზმის ისეთი სახეობების განვითარება, რომლებიც ან საერთოდ არ იყო ჩვენში, ანდა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, ასეთებია: ფეხით ლაშქრობა, საცხენოსნო, სათხილამურო, სამთო მოტო-ველო, სამონადირეო, შემეცნებით-ეკოლოგიური, ფერმერული, საოჯახო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი თავისი მრავალსახეობებით, საქმიანი ტურიზმი, სასწავლო ტურიზმი, შოპტური და სხვ.

თავის მხრივ ტურიზმის ეს ფორმები ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა და საერთოდ ჩვენი მოსახლეობის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ტურისტული ინდუსტრიის განვითარება თავისთავად გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც გარკვეულწილად გადაწყვეტს ამ კატეგორიის პირთა დასაქმების პრობლემას. ამასთან, ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემის (მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე) შერბილებას.

ჩასატარებელი სამუშაოები

ა) რეკრეაციული ობიექტების რეაბილიტაცია და მათი ქსელის შექმნა-განვითარება (სამი ტურისტული ობიექტის აღდგენა-ამუშავება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში);

ბ) ტურისტული ცენტრის შექმნა, რომლის დანიშნულებაა ტურიზმის სფერში მარკეტინგული სამუშაოს ჩატარება, საქართველოში ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ტურისტული მარშრუტების შესწავლა და ტურპროგრამების შედგენა, სარეკლამო

პლაკატების, პროსპექტების, ბუკლეტების, კატალოგების და სხვა ბეჭდური პროდუქციის მომზადება და დასტამბვა; სარეკლამო კომპანიის ჩატარება; უცხოეთის ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობა; ადგილობრივი და საერთაშორისო ტურების ორგანიზაცია;

გ) ვეტერანების, ინვალიდების და სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა ჩართვა საოჯახო ტურიზმის ქსელში;

დ) ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების (ავტომანქანების მფლობელების) დასაქმება ტურისტთა სატრანსპორტო მომსახურების საქმეში;

2.7. სპორტული ღონისძიებების ჩატარება

საქართველოს რესურსული პოტენციალის, შესაბამისად მისი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს რეკრეაციული მეურნეობა. მიუხედავად შესანიშნავი ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისა, საკურორტო მეურნეობა ძალზედ სავალალო მდგომარეობაშია, რომლის რეაბილიტაცია საუკეთესო საშუალება იქნება. ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, ვეტერანთა კულტურული დასვენებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზე-ბისათვის.

მიზნები

ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა ჩაბმა ფიზიკურ-ტურულ და სპორტულ ცხოვრებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ჩასატარებელი სამუშაოები:

- სპორტული თამაშების ორგანიზება;
- სპორტული კლუბების ქსელის შექმნა;
- სათანადო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

2.8. მხატვრული თვითშემოქმედება და მუსიკალურ-თეატრალური მოღვაწეობა

როგორც ცნობილია, საქართველოში უკანასკნელ წლებში განვითარებულმ მოვლენებმა თავისი დაღი დასვა ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათ ოჯახის წევრთა თვითშემოქმედებითი და მუსიკალურ-თეატრალურ

მოღვაწეობის სფეროებსაც. თუკი ადრე რესპუბლიკის მასშტაბით ტარდებოდა რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური შემოქმედებითი ოლიმპიადები, გამოფენები, ფესტივალები, რაც ვეტერანთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ახალგაზრდების აღზრდის საქმეში გარკვეულ როლს თამაშობდა, დღეს ეს ყველაფერი თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

მიზნები

ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით კი - ამ კატეგორიის ახალგაზრდების ინტერესთა სფეროების განსაზღვრისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმოჩენის, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვის მიზნით, შემოქმედებითი, შემეცნებითი, გასართობი და სხვა სახის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და ორგანიზება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ამ კატეგორიის პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესის დაჩქარებას და მათი ხელოვნების პოპულარიზაციას.

ჩასატარებელი სამუშაოები:

ა) მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის კონკურსების, ფესტივალებისა და ღონისძიებათა ორგანიზება;

ბ) ინტერესთა სფეროების მიხედვით შემოქმედებითი სახელოსნოებისა და სტუდიების ჩამოყალიბება;

გ) ვეტერანთა სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი ინიციატივების სტიმულირება და ხელშეწყობა;

დ) მხატვრული ალბომების, კატალოგებისა და ბუკლეტების გამოშვება.

IV. დასკვნა

პროგრამის განხორციელების გადაუდებელ საჭიროებას ადასტურებს ის გარემოება, რომ თუკი არ დაჩქარდა ინვალიდთა და ვეტერანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესი, ამ კატეგორიის ადამიანების სახით საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ დაძლევს «სახელმწიფოზე დამოკიდებულის» ფსიქოლოგიასა და «კმაყოფაზე მყოფის» განწყობილებას, რაც ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება.

აღნიშნული პროგრამული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია:

ა) სახელმწიფოს მხრივ ვეტერანთა, ომის ინვალიდთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ ზრუნვის აღიარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად;

ბ) ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, ფინანსური სტაბილიზაცია, მზარდი საინვესტიციო შესაძლებლობები, წარმოების განითარების ხელშეწყობის აშკარა და მზარდი ტენდენციები.

თითოეული ზემოთაღნიშნული პროექტი გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად გაფართოებისა და განვითარების პერსპექტივებს, რაც უფრო ნათლად ჩანს დანართის სახით წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმებში.

აღნიშნული პროექტების განხორციელების შემდგომ ეტაპზე გონივრული მართვის პირობებში შემოსავლების სტაბილურობის მიღწევა და შემდგომი ზრდა, წარმოების გაფართოების პარალელურად, შესაძლებელს გახდის პროგრამით გათვალისწინებული და ვეტერანთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სხვა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოში მოქმედი ბავშვთა ინსტიტუტები

«საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში მყოფი ბავშვებისათვის სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის № 841 ბრძანებულების დანართის მიხედვით

(მისამართისა და აღსაზრდელთა მისაღები ასაკის მითითებით)

ბავშვთა სახლები

1. ასპინძის **ობოლ** და **მშობელთა** **მზრუნველობას** **მოკლებულ** **ბავშვთა** **სახლი** -
   ასპინძა, ვარძიის ქ. 75, 6-დან 13 წლამდე;

2. **ბათუმის** **საბავშვო** **სახლი** -
   ქ. ბათუმი, მთისძირის ქ. 74, 7-დან 18 წლამდე;

3. **თბილისის** **№ 1** **საბავშო** **სახლი** -
   ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, 7-დან 16 წლამდე;

4. **თბილისის** **ჩვილ** **ბავშვთა** **სახლი** -
   ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 3, 0-დან 4 წლამდე;

5. **მახინჯაურის** **ჩვილ** **ბავშვთა** **სახლი** -
   ხელვაჩაურის რ-ნი, დაბა მახინჯაური, 0-დან 3 წლამდე;

6. **კოჯრის** **საბავშო** **სახლი** -
   გარდაბნის რ-ნი, დაბა კოჯორი, 6-დან 17 წლამდე;

7. **სურამის** **საბავშვო** **სახლი** -
   ხაშურის რ-ნი, დაბა სურამი, დიმიტროვის ქ. 15, 3-დან 14 წლამდე;

8. **ქუთაისის** **ჩვილ** **ბავშვთა** **სახლი** -
   ქ. ქუთაისი, ლუქსემბურგის ქ. 55, 0-დან 6 წლამდე;

9. ეწრის ბავშვთა სახლი -
სამტრედიის რ-ნი, სოფელი ეწერი, 6-დან 15 წლამდე;

10. ფყნეთის უდედმამო და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი -
დაბა წყნეთი, სტალინის ქ. 40, 3-დან 12 წლამდე;

11. გიორგი მთაწმინდელის სახელობის ახალგორის საბავშვო სახლი -
ქ. ახალგორი, 9 აპრილის ქ. 8, 6-დან -17 წლამდე.

სკოლა-ინტერნატები

12. გურჯაანის ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ. გურჯაანი, ფარნავაზის ქ. 17, 4წლის ზევით;

13. ზუგდიდის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ. ზუგდიდი, ინგურქალალდკომბინატი, 6-დან 16 წლამდე;

14. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ. თბილისი. ნუცუბიძის ქ. 5, 6-დან 16 წლამდე;

15. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 5, 7-დან 17 წლამდე;

16. თბილისის სუსტადმხედველ ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი-
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.5, 6-დან 18 წლამდე;

17. თელავის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ. თელავი, რუსთაველის ქ. 93, 3-დან 16 წლამდე;

18. თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი -
ქ. თბილისი, გუთნის ქ. 6, 5-დან 22 წლამდე;

19. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის პრ., მე-3 შესახ., №4, 6დან-17 წლამდე;

20. მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი -
გარდაბნის რ-ნი, სოფ. მარტყოფი, 6დან-15 წლამდე;

21. რუსთავის სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი -
ქ. რუსთავი, კოკეიძის ქ., 14, 5-დან14 წლამდე;

დამხმარე სკოლა-ინტერნატები

22. ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
სიღნაღის რ-ნი, სოფ.ბოდბე, 7-დან 16 წლამდე;

23. გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ქ. ქუთაისი, გუმათის მარცხენა დასახლება, 7-დან 18 წლამდე;

24. თბილისის დამხმარე სკოლა -
ქ. თბილისი, გოცირიძის ქ.1, 7-დან 14 წლამდე;

25. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ქ. თბილისი, თ. ელენტის ქ., 1, 7-დან 17 წლამდე;

26. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ქ. თბილისი, ქერჩის ქ. 22, 7-დან 17 წლამდე;

27. კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. კოხნარი, 6-დან 17 წლამდე;

28. თბილისის მეტყველებაში მძიმე ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლა -
ქ. თბილისი, ლალიძის ქ. 7, 6-დან 18 წლამდე;

29. ბედიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ჭიათურის რ-ნი, სოფ. ბედიკაური, 7-დან 16 წლამდე.

30. ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატი -
ქ. ახალციხე, გორის ქ., 17, 7-დან 13 წლამდე.

სანატორიული სკოლა-ინტერნატები

31. ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატი -
ბორჯომის რ-ნი, დაბა ახალდაბა. 6-დან 14 წლამდე;

32. ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატი -
ხაშურის რ-ნი, სოფ. ტაშისკარი, 6-დან 15 წლამდე;

33. წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატი -
ქ. წალენჯიხა, 6-დან 15 წლამდე;

34. საგურამოს სასუნთქი ორგანოების ქრონიკული სნეულებებით დაავადებულ ბავშვთა რესპუბლიკური სანატორიული სკოლა-ინტერნატი -
მცხეთის რ-ნი, სოფ. საგურამო, 7-დან 17 წლამდე;

35. სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატი -
მარტვილის რ-ნი, სოფ. სალხინო, 6-დან 15 წლამდე.

ფსიქონევროლოგიური პანსიონატები

36. სენაკის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატი -
ქ. სენაკი, კობახიძის ქ., 9, 3-დან 18 წლამდე;

37. კასპის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატი -
კასპის რ-ნი, სოფ. ახალქალაქი, 4-დან 16 წლამდე.,

ბაგა-ბაღები

38. სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღი -
ქ. თბილისი, დიღმის მე-5 კვ., ახმეტელის ქ., 2, 1,5 წლიდან 7 წლამდე;

39. მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღი -
ქ. თბილისი, კაჟა-ფშაველას გამზ., მე-2 კვ., მე-6 შეს., 4, 2-დან 7 წლამდე.

სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულება

40. სამტრედიის სპეცსკოლა -
ქ. სამტრედია, გრიბოედოვის ქ., 47, 11-დან 15 წლამდე.

სტატისტიკური მონაცემები რამდენიმე ძირითადი პარამეტრის მიხედვით

წყარო: საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სამმართველოს მიერ შედგენილი სტატისტიკური მასალების *კრებული*

«საქართველოში ინვალიდობისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიების საქმიანობის 1997 წლის ძირითადი მაჩვენებლები»,

ა.ხიტირისა და ჯ. გოგიძის რედაქციით, თბ., 1998.

1. სსე კომისიებში გატარებულ მოქალაქეთა რიცხვი



მათ შორის : ინვალიდობის განსაზღვრისათვის



აქედან: პირველადი მომართვიან [redacted] განმეორებით



2. სულ გატარებულთა რიცხვიდან ცნობილი იქნა ინვალიდად





მათ შორის: პირველადად ▬ განმეორებით □

3. გადამოწმებულთა რიცხვიდან არ იქნა ცნობილი ინვალიდად (სრული რეაბილიტაცია)



4. პირველადად დაინვალიდებულთა შორის:

საპენსიო ასაკამდე ▬
საპენსიო ასაკს ზევით □



მათ შორის: მომუშავე ▬ არა მომუშავე □



5. პირველადი დაინვალიდება დაავადებათა ნოზოლოგიების მიხედვით /მომუშავეთა რიცხვიდან/

5.1. სისხლის მიმოქცევის სისტემის [redacted] ავთვისებიანი სიმსივნეები [redacted]



5.2. ნერვული სისტემის დაავადებები [redacted] ყველა სახის ტრამვები [redacted]



6. პირველადი დაინვალიდება მიზეზობრივი კავშირის მიხედვით:

6.1. შრომითი დასახიჩრება და პროფ. დაავადება [redacted] სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან [redacted]



6.2. ბავშვობიდან ინვალიდები [redacted] საერთო დაავადებით [redacted]



FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდრო კავშირშია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი დაფუძნებულ იქნა 1925 წლის 2 მარტს, ვაიმარის პირველი პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატთა ლიდერის *ფრიდრიხ ებერტის* საპატივცემულოდ.

დღესდღეობით ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომელთა რიცხვი 540 კაცს შეადგენს. ფონდს ბიუროები გააჩნია მსოფლიოს 89 ქვეყანაში.

ფონდის მოღვაწეობის სფეროში შედის:

– დემოკრატიული სულისკვეთებით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა განათლება;
– ერთაშორისი თანხმობის ხელშეწყობა და განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა;
– როგორც გერმანიაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ნიჭიერი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისათვის სტიპენდიების გამოყოფა;
– სამეცნიერო გამოკვლევების, კვლევითი სამუშაოების წახალისება;
– კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში ფონდის წარმომადგენლობა 1994 წელს დაარსდა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი-ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. კონფერენციებისა და სემინარების მოწყობით, სატელევიზიო პროგრამებითა თუ სპეციალისტების მომზადებით იგი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამოცდილების. ცოდნის გაცვლაში.

საქართველოში ფონდის საქმიანობის სფერო მოიცავს შემდეგ საკითხებს:
– დემოკრატიის მხარდაჭერა, ეთნიკური უმცირესობებისა და ქალთა მოძრაობის დაცვა;

– ეკონომიკური რეფორმა, სოციალური პოლიტიკა და გარემოს დაცვა;
– საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სემინარულ მუშაობას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებთან, როგორებიცაა, მაგალითად: კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემუშავების მიზნით ტრენინგ-სემინარების ჩატარება ლტოლვილებთან, ჟურნალისტებთან, პოლიციელებთან; მართვის, ეკონომიკის, სამართლის საკითხების ირგვლივ – ცალკეული რეგიონების გამგებლებთან. ფონდის ხელშეწყობით ქვეყნდება მთელი რიგი პუბლიკაციები სხვადასხვა თემებზე, უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა ვიდეო-ლექციები, რომელთაც უძღვებიან გერმანიიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.